

**საჯაროსამართლისიურიდიულიპირი-
ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტი
წარმომადგენლობითისაბჭო**

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილისქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04

ქ. ბათუმი

09 მარტი , 2016წ.

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო
სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების
წესის დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოსკანონისმე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტისა და სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (02.02.2016 წ)საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების თანდართული წესი (**დანართი 1**);
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე და დაეგზავნოს ფაკულტეტებსა და სტუდენტურ თვითმმართველობას.
3. წინამდებარე გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად 2015-2016 სასწავლო წელს კონკურსი გამოცხადდეს გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 20 დღისა.
4. გადაწყვეტილებაძალაშიახელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითისაბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დ.ბარათაშვილი

სსიპ - ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში „ბსუ“/„უნივერსიტეტი“) წინამდებარე წესის შესაბამისად ხორციელდება სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ (შემდეგში „პროგრამა“).
2. პროგრამის მიზანია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტთათვის, რომელთაც არა აქვთ სწავლის საფასურის გადახდის საშუალება სხვადასხვა სოციალური გარემო-პირობების გამო, სწავლის საფასურის გადახდაში ამ პროგრამით გათვალისწინებული პირობებით შეღავათის მინიჭება - სწავლის სემესტრული საფასურის სრულად, 2/3-ის ან 1/3-ის ოდენობით დაფარვა.

მუხლი 2. პროგრამის დაფინანსება და პროგრამაში მონაწილეობები

1. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
2. დაფინანსების წყარო ასევე შეიძლება იყოს შემოწირულობებიდან ან/და გრანტებიდან მიღებული შემოსავლები.
3. პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების მისანიჭებლად უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის მქონე, ბსუ-ს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებს, სწავლების მე-2 სემესტრიდან.
4. კონკურსში გამარჯვებულ პირებს შეღავათი ენიჭება ერთი სემესტრის განმავლობაში. მინიჭებული შეღავათი გაითვალისწინება კონკურსის შედეგების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

მუხლი 3. პროგრამის კოორდინაცია და საკონკურსო კომისია

1. პროგრამის განხორციელებისა და კონკურსის ჩატარების მიზნით ბსუ-ს სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის (შემდეგში „სამსახური“) ინიციატივითა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით. კომისიის წევრი შეიძლება იყოს ბსუ-ს პერსონალის, ფაკულტეტებისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი.
2. კომისიის მიერ განცხადებები განიხილება წინამდებარე წესით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის მინიჭების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

3. პროგრამის
განხორციელებას კოორდინაციას უწევს ბსუ-ს სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია კონკურსის ორგანიზებაზე (დროულად გამოცხადებაზე, ჩატარებაზე, საკონკურსო მასალების დამუშავებასა და შენახვაზე, კონკურსანტთა მონაცემთა ბაზის წარმოებაზე).
4. საკონკურსო
მასალები, სტუდენტთა სოციალური პირობების (წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დამუშავებული) მონაცემები და კონკურსის შედეგების ანალიზი სამსახურის მიერ მიეწოდება ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 4. კონკურსი

1. „სტუდენტთა
შეღავათები სწავლის საფასურში“ სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების ბსუ-ს სტუდენტთათვის მინიჭების მიზნით, **ყოველი სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე** ცხადდება კონკურსი.
2. კონკურსის
გამოცხადების ბრძანებაში მიეთითება: განცხადებებისა და საბუთების წარმოდგენის, განხილვის, გადაწყვეტილების მიღების ვადები, პროგრამის დაფინანსების საერთო რაოდენობა. ბრძანება ქვეყნდება როგორც ვებგვერდზე, ასევე უნივერსიტეტის შენობებში, ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე).
3. პროგრამაში
მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა ბსუ-ს კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:
 - ა) განცხადება (**თანდართული ფორმით**);
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა (პასპორტის) და დაბადების მოწმობის ასლი;
 - გ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ (ცნობა გაიცემა მხოლოდ სტუდენტის აქტიურ სტატუსში მყოფ პირებზე);
 - დ) შეღავათის კრიტერიუმის/კატეგორიის განსაზღვრისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც შეიძლება იყოს:
 - დ.1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი (**სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 –ზე**);
 - დ.2. შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
 - დ.3. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი ან ცნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი;
 - დ.4. მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

დ.5. მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილით)ოჯახის წევრი სტუდენტისა და მისი და – მძმების დაბადების მოწმობის ასლები;

დ.6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ.7. შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული ცნობა, ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) სახლის დაზიანების პირველი ან მეორე კატეგორიის შესახებ;

დ.8. მარტოხელა დედობის ან ერთი მშობლის მზრუნველობის ქვეშ ყოფნის დამადასტურებელი ცნობა, დოკუმენტი და ინფორმაციული სახის წერილობითი მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შეიძლება სტუდენტს მიენიჭოს შესაბამისი შეღავათი.

4. კონკურსანტი
(გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის დ.1. და დ.2. პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმომდგენი პირებისა) ასევე ვალდებულია საკონკურსო განაცხადების შემოტანის პერიოდშივე უზრუნველყოს სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის მინიჭების თაობაზე მშობლის სანოტარო წესით დადასტურებული განცხადების წარმოდგენა (მშობელი უფლებამოსილია წერილობითი განცხადება უშუალოდ წარუდგინოს ბსუ-ს სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურს). განცხადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე მშობელთა განცხადებები მიეთვისება საკონკურსო მასალებს და ეცნობება ადმინისტრაციას.

5. შემოსული
განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით გადაეცემა ბსუ-ს სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურს, რომელიც განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად გადასცემს საკონკურსო კომისიას.

მუხლი 5. შეფასებისკრიტერიუმები

პროგრამის მიხედვით კონკურსანტებს შეღავათები შეიძლება მიენიჭოს შემდეგი შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 – ზე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით, ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

ბ) სტუდენტს, რომელიც არისშეზღუდული შესაძლებლობის მქონე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული აქვს შეფასებები, **ტოლი ან მეტია 51 ქულაზე;**

გ)სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი დაწინა სემესტრის შედეგების მიხედვით

ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

გ).1. სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

დ) სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით) და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

ე) სტუდენტს, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

ვ) სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი (ოთხი შვილით) ოჯახის წევრი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

ზ) სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი (ხუთი და მეტი შვილით) ოჯახის წევრი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

თ) სტუდენტს, რომელიც მიეკუთვნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ დადგენილი ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) ოჯახს, რომლის სახლის დაზიანება შეფასებულია პირველი ან მეორე კატეგორიით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

ი) სტუდენტს, რომელიც არის მარტოხელა დედა, რაც დასტურდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული დოკუმენტებით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

კ) სტუდენტს, რომელიც არის მხოლოდ ერთი მშობლის მზრუნველობის ქვეშ, რაც დასტურდება შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული დოკუმენტებით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

ლ) სტუდენტს, რომლის და ან/და ძმა ასევე არის ბსუ-ს სტუდენტი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

მუხლი 6. შეღავათის კატეგორიები

1. წინამდებარე წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით კონკურსანტებს ენიჭებათ შეღავათის სამისხვადასხვა კატეგორია შემდეგნაირად:

1.1. პირველი კატეგორია - დაფინანსების 100 %:

- ა) წინამდებარე წესის მე-5 მუხლის „ბ“, „ზ“ და „ი“ პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;
- ბ) წინამდებარე წესის მე-5 მუხლის რომელიმე პუნქტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმის გათვალისწინებით სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული აქვს 91 ქულა და მეტი;
- გ) წინამდებარე წესის მე-5 მუხლის ორი და მეტი პუნქტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმის გათვალისწინებით სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული აქვს 81 ქულა და მეტი;

1.2. მეორე კატეგორია - დაფინანსების 2/3;

- ა) წინამდებარე წესის მე-5 მუხლის რომელიმე პუნქტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმის გათვალისწინებით სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში მიღებული შეფასებები აქვს საშუალო არითმეტიკულით ტოლი ან მეტი 91 ქულაზე;
- ბ) წინამდებარე წესის მე-5 მუხლის ორი და მეტი პუნქტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმის გათვალისწინებით სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში მიღებული შეფასებები აქვს საშუალო არითმეტიკულით ტოლი ან მეტი 81 ქულაზე;

1.3. მესამე კატეგორია - დაფინანსების 1/3;

წინამდებარე წესის მე-5 მუხლის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „თ“, „კ“ და „ლ“ პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმის მიხედვით.

- 2. პროგრამისათვის გამოყოფილი თანხა თანაბარწილად განაწილდეს სამივე კატეგორიაზე (თითოეულ კატეგორიაზე გაიხარჯოს ბიუჯეტის 30%). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი პირველი კატეგორიისათვის განსაზღვრული ბიუჯეტი არ იქნება საკმარისი პირველი კატეგორიის კონკურსანტების დასაფინანსებლად, მათი დაფინანსება მოხდეს მომდევნო კატეგორიისათვის განსაზღვრული თანხიდან. იმავე წესით მოხდეს შერჩევა და თანხის განაწილება მესამე კატეგორიის შემთხვევაშიც.
- 3. იმ შემთხვევაში, თუკი პირველი კატეგორიისათვის განსაზღვრული ბიუჯეტი არ იქნება ათვისებული, დარჩენილი თანხით დაფინანსდეს მომდევნო კატეგორიის სტუდენტები. იგივე წესით მოხდეს თანხის განაწილება მეორე კატეგორიისათვის განსაზღვრული თანხის ათვისებლობის შემთხვევაშიც.
- 4. შეფასების კრიტერიუმებიდან თანაბარი მონაცემების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას.

ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის
„სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2015-2016 სასწავლო წლის
მე-2 სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 11 მარტის № 01-11/21 ბრძანების

დანართი 1

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ჯემალ ანანიძეს

--

(ფაკულტეტი)

(საგანმან.პროგრამა და სწავლების წელი)

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილების თანახმად განსაზღვრულ, ქვემოთ აღნიშნულ (მონიშნულ) შემდეგ კატეგორიას:

- ა) სტუდენტი, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 – ზე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით, ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- ბ) სტუდენტი, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული აქვს შეფასებები, **ტოლი ან მეტია 51 ქულაზე;**
- გ) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- გ).1. სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- დ) სტუდენტი, რომელიც არის ოზოლი (დედით ან მამით) და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- ე) სტუდენტი, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- ვ) სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი (ოთხი შვილით) ოჯახის წევრი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

- **ზ) სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი (ხუთი და მეტი შვილით) ოჯახის წევრი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- **თ) სტუდენტი, რომელიც მიეკუთვნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ დადგენილი ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) ოჯახს, რომლის სახლის დაზიანება შეფასებულია პირველი ან მეორე კატეგორიით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- **ი) სტუდენტი, რომელიც არის მართხელა დედა, რაც დასტურდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული დოკუმენტებით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- **კ) სტუდენტი, რომელიც არის მხოლოდ ერთი მშობლის მზრუნველობის ქვეშ, რაც დასტურდება შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული დოკუმენტებით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**
- **ლ) სტუდენტი, რომლის და ან/და ძმა ასევე არის ბსუ-ს სტუდენტი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

განცხადებას თან ერთვის ჩემს მიერ მითითებული შეფასების კატეგორიის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

1. -----;
2. -----;
3. -----;
4. -----;

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა და გამარჯვების შემთხვევაში მომცეთ შესაბამისი კატეგორიის დაფინანსება.

დანართი: — ფურცელი.

განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: _____

ტელეფონი: _____ მობილური _____

E:mail _____

(ხელმოწერა)

(თარიღი)